ხელშეკრულება N2020 /002
სატელეფონო მომსახურებაზე
"სატელეკომუნიკაციო მომსახურებები" (CPV კოდი: 64200000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **შპს ჯეონეთი** (შემდგომში **ოპერატორი**) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე ქევხიშვილის სახით, და მეორეს მხრივ **სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,** (შემდგომში **აბონენტი**), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 აბონენტი ავალებს, ოპერატორი კი ვალდებულებას იღებს გაუწიოს აბონენტს სატელეფონო მომსახურება, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე. აბონენტის სატელეფონო ნომერია: 995322474242; „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურებები" (CPV კოდი: 64211200).

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. ოპერატორი ვალდებულია

2.1.1 აბონენტს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება;

2.1.2 გაუწიოს აბონენტს სატელეფონო მომსახურება დანართი 1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად;

2.1.3 ათი დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აბონენტს მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ.

2.1.4 ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება 24 საათის განმავლობაში, ყოველ დღე, გარდა წინასწარ დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების შესრულებისა;

2.1.5 აწარმოოს აბონენტისადმი გაწეული მომსახურების აღრიცხვა და მიაწოდოს აბონენტს გაწეული მომსახურების ანგარიში ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე;

2.1.6 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე.

2.2. ოპერატორს აქვს უფლება

2.2.1 შეცვალოს მომსახურების ტარიფები;

2.2.2 შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება (შეუზღუდოს გამავალი ზარი) იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დააგვიანებს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდას, რის შესახებაც ოპერატორი აბონენტს ატყობინებს 5 სამუშაო დღით ადრე. შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხორციელდება შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის დასრულებამდე; მომსახურების შეზღუდვის პერიოდში აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი;

2.2.3 შეუწყვიტოს აბონენტს მომსახურების მიწოდება მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 კალენდარულ დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

2.3. აბონენტი ვალდებულია

2.3.1 ყოველთვიურად გადაიხადოს სატელეფონო ნომრის სააბონენტო გადასახადი **14.50 (თოთხმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით;

2.3.2 დაიცვას ოპერატორის მიერ გამოყენებული ყველა ტექნიკური პროცედურა, რეკომენდაცია და მეთოდური მითითებები, რომლებსაც ოპერატორი წერილობით წარუდგენს აბონენტს;

2.3.3 ანგარიშის მიღების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მიწოდებული მომსახურების საფასური;

2.3.4 აბონენტი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე;

2.3.5 არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ადგილობრივი, საერთაშორისო ფასიანი ტრაფიკის ტერმინაციის ან/და გადამისამართების სქემაში;

2.3.6 შეატყობინოს ოპერატორს სპეციალიზებული სატელეფონო სადგურის (PBX, Asterisk და სხვა) არსებობის შესახებ და მიიღოს ზომები მისი დაცვისათვის, რათა არ მოხდეს მისი არასანქცირებული გამოყენება კომპანიის საზიანოდ.

2.3.7 მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენოს ოპერატორისგან მიღებული მომსახურება და არ დაუშვას მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ მესამე პირზე; ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია დააკისროს აბონენტს ჯარიმის სახით 5,000.00 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა და ოპერატორისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება;

2.3.8 არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და "ფროდის" („ფროდი" - მომსახურებისთვის დაწესებული მომსახურების ღირებულების გადახდისგან თავის არიდების გზით მომსახურების უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად მიღება) მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას ოპერატორის ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი მოწყობილობა ან/და ტექნიკური საშუალება ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. აბონენტი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად ოპერატორის მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს;

2.4. აბონენტს აქვს უფლება

2.4.1 მოსთხოვოს ოპერტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

2.4.2 ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს;

2.4.3 წარუდგინოს ოპერატორს წერილობითი პრეტენზიები წარდგენილ გადასახადებთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში; აბონენტის წერილობითი პრეტენზიის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ „ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის #3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად პრეტენზიის რეგისტრაციიდან 15 კალენდარული დღის ვადაში; ოპერატორის მხრიდან აბონენტის პრეტენზია/საჩივარზე წერილობითი უარის შემთხვევაში აბონენტი უფლებამოსილია წერილობითი უარი გაასაჩივროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან/და სასამართლოში;

2.4.4 ოპერატორის მიერ მომსახურების ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ოპერატორს აცნობოს ტარიფის შეცვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **2100.00 (ორი ათას ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, საფინანსო დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სხვ.) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ანგარიშწორების ფორმა: უნაღდო.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ დაეთანხმება 4.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საფინანსო დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სხვ.), შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შესაბამისი თვის მომსახურების ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

4.4 დაფინანსების წყარო: **2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

5. ხელშეკრულების ვადები და შეწყვეტის პირობები

5.1 მომსახურების გაწევის ვადა 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

5.2 ხელშეკრულების **მოქმედების ვადაა 2021 წლის 31 იანვარის ჩათვლით.**

5.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იმავე პირობებით ყოველი შემდეგი ერთი წლის განმავლობაში თუ 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

5.4 წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია, თუ შეწყვეტის ინიციატორი მხარე 30 დღით ადრე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

5.5 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას;

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დავების, ურთიერთპრეტენზიებისა და უთანხმოებების გადაწყვეტა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ზოგადი დებულებები

8.1 ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით;

8.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი ძალა. ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ოპერატორთან, მეორე – აბონენტთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები

ოპერატორი:
შპს "ჯეონეთი"
ს/კ: 204918321
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ.: 247 00 00 ფაქსი: 247 00 01
ელ. ფოსტა: info@geonet.ge
ვები: www.geonet.ge
სს საქართველოს ბანკი, BAGAGE22
ა/ა GE43 BG 0000 0001 1840 2601

აბონენტი:
სსიპ „კორნელი კეკელიძისსახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი"
თბილისი, ალექსიძის №1/3;
ს/კ 211368474
ტელ.: 995322474242
ელ.ფოსტა: makharadzetea@yahoo.com

სახელმწიფო ხაზინა

ალექსანდრე ქევხიშვილი

ზაალ აბაშიძე

დანართი N1

N2020/002 ხელშეკრულებისა

ფასები მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით

დროის წამობრივი აღრიცხვა

მიმართულება	ლარი/წთ
ავსტრალია	0.10
ავსტრალია მობილური	0.30
ავსტრია	0.40
ავსტრია მობილური	0.75
ავღანეთი	0.70
ავღანეთი მობილური	0.70
აზერბაიჯანი	0.60
აზერბაიჯანი მობილური	0.90
ალბანეთი	0.50
ალბანეთი მობილური	1.40
არგენტინა	0.30
არგენტინა მობილური	0.30
აშშ/კანადა	0.07
ბელარუსი	1.05
ბელარუსი მობილური	1.05
ბელგია	0.30
ბელგია მობილური	1.25
ბელგია olo	0.30
ბელგია Personal	0.30
ბელგია universal access number	0.20
ბოლივია	0.60
ბოლივია მობილური	0.60
ბოსნია და ჰერცეგოვინა	0.50
ბოსნია და ჰერცეგოვინა მობილური	1.05
ბოსნია და ჰერცეგოვინა მობილური SRPSKE	1.15
ბრაზილია	0.10
ბრაზილია მობილური	0.20
ბულგარეთი	0.25
ბულგარეთი მობილური	1.15
ბულგარეთი მობილური-Tetra	0.30
ბულგარეთი მობილური-Wimax	0.30
ბულგარეთი მობილური-OLO	0.30
გაერთიანებული სამეფო	0.06
გაერთიანებული სამეფო მობილური	0.60
გაერთიანებული სამეფო მობილური-H3G	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური-O2	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური-Orange	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური-Tmobile	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური-Vodafone	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური personal	0.80
გაერთიანებული სამეფო მობილური NTS	0.65
გაერთიანებული სამეფო მობილური Lycamobile	0.10
გაერთიანებული სამეფო მობილური	0.10

მიმართულება	ლარი/წთ
ლატვია მობილური ROAM	1.55
ლატვია მობილური SKY	1.00
ლატვია მობილური TELE2	1.00
ლატვია მობილური Telebest	1.10
ლატვია მობილური Telecall	1.00
ლატვია მობილური Telefant	1.50
ლატვია მობილური Telekom Baltija	1.10
ლატვია მობილური Telena	1.10
ლატვია მობილური Xomobile	1.00
ლატვია მობილური Special IMX	1.55
ლატვია მობილური Special Roam	1.55
ლატვია მობილური Special Services	1.60
ლატვია მობილური Special Sky	0.50
ლიბერია	1.50
ლიბია	1.00
ლიეტუვა	0.45
ლიეტუვა მობილური	1.10
ლიეტუვა მობილური Omnitel	0.95
ლიეტუვა მობილური TELE2	0.90
ლიეტუვა NGN	0.50
ლუქსემბურგი	0.60
ლუქსემბურგი მობილური	0.60
ლუქსემბურგი special services	1.30
მაკედონია	1.00
მაკედონია მობილური	1.20
მექსიკა	0.20
მექსიკა მობილური	0.20
მოლდავეთი	1.00
მოლდავეთი მობილური	0.80
მოლდავეთი Transnistria	0.65
მოლდავეთი Transnistria Mobile	0.80
ნიდერლანდები	0.90
ნორვეგია	0.06
ნორვეგია მობილური	0.20
ნორვეგია special services	0.35
პოლონეთი	0.08
პოლონეთი მობილური	0.45
პორტუგალია	0.10
პორტუგალია მობილური	0.30
პორტუგალია მობილური-Vodafone	1.60
რუმინეთი	0.06
რუმინეთი მობილური	0.20
რუმინეთი OLO	0.06

special services	
გაერთიანებული სამეფო მობილური Voip	0.10
გაერთიანებული არაბთა საემირო	0.50
გაერთიანებული არაბთა საემირო მობილური	0.50
გერმანია	0.06
გერმანია მობილური	0.20
გერმანია paging services	0.90
დანია	0.06
დანია მობილური	0.30
ეგვიპტე	0.30
ეგვიპტე მობილური	0.45
ეთიოპია	0.85
ერაყი	0.50
ერაყი მობილური	0.65
ესპანეთი	0.06
ესპანეთი მობილური	0.60
ესპანეთი სხვა	0.60
ესპანეთი მობილური Lycamobile	0.40
ესპანეთი მობილური ORANGE	0.25
ესპანეთი მობილური TELEFONICA	0.25
ესპანეთი მობილური VODAFONE	0.25
ესპანეთი მობილური YOIGO	0.40
ესპანეთი Voip	1.00
ესტონეთი	0.09
ესტონეთი მობილური	1.10
ესტონეთი-Top Connect	1.50
თურქეთი	0.12
თურქეთი მობილური	0.50
თურქეთი მობილური-Avea	0.55
თურქეთი მობილური-Vodafone NC	0.55
თურქეთი მობილური-TURKCELL NC	0.55
თურქმენეთი	0.40
იაპონია	0.20
იაპონია მობილური	0.20
ინდოეთი	0.12
ინდოეთი მობილური	0.12
ინდონეზია	0.20
ინდონეზია მობილური	0.20
იორდანია	0.50
იორდანია მობილური	0.50
ირანი	0.45
ირანი მობილური	0.45
ირლანდია	0.06
ირლანდია მობილური	0.30
ირლანდია მობილური Personal Numbering	0.40
ირლანდია მობილური Universal Access	0.40
ისლანდია	0.09
ისლანდია მობილური	0.20
ისრაელი	0.08
ისრაელი მობილური	0.15
ისრაელი პალესტინა	0.50
იტალია	0.08
იტალია მობილური	1.10
იტალია მობილური H3G	0.80
იტალია მობილური TIM	0.75

რუსეთი	0.16
რუსეთი მობილური	0.60
რუსეთი მოსკოვი	0.08
რუსეთი მობილური- MTS	0.50
რუსეთი მობილური- beeline	0.50
რუსეთი პეტერბურგი	0.16
საბერძნეთი	0.15
საბერძნეთი მობილური	0.30
სამხრეთ აფრიკა	0.60
სამხრეთ აფრიკა მობილური	0.65
საუდის არაბეთი	0.60
საფრანგეთი	0.06
საფრანგეთი მობილური	0.25
საქართველო	**0.06**
საქართველო თბილისი	**0.04**
საქართველო -ბილაინი	**0.07**
საქართველო -ჯეოსელი	**0.07**
საქართველო -მაგთიკომი	**0.07**
საქართველო -მაგთიფიქსი	**0.04**
საქართველო-გლობალსელი	**0.15**
სამხრეთ კორეა	0.20
სერბეთი	0.50
სერბეთი მობილური	1.30
სერბეთი Fixed Orion	1.30
სერბეთი კოსოვო	0.50
სირია	1.10
სლოვაკეთი	0.06
სლოვაკეთი მობილური	0.20
სლოვენია	0.50
სლოვენია მობილური	1.20
სომხეთი	0.55
სომხეთი მობილური	0.70
ტაივანი	0.30
ტაივანი მობილური	0.50
ტაჯიკეთი	0.45
ტაჯიკეთი მობილური	0.50
ტაილანდი	0.30
ტაილანდი მობილური	0.30
უზბეკეთი	0.35
უკრაინა	0.45
უკრაინა მობილური	0.70
უნგრეთი	0.20
უნგრეთი მობილური	0.35
ურუგვაი	0.50
ურუგვაი მობილური	0.50
ფინეთი	1.10
ფინეთი მობილური	1.10
ყაზახეთი	0.15
ყაზახეთი მობილური-Beeline (Kartel)	0.30
ყაზახეთი მობილური-KCELL	0.55
ყაზახეთი მობილური-TELE2	0.55
ყირგიზეთი	0.50
ყირგიზეთი მობილური	1.10
ყირგიზეთი მობილური-BEELINE (SKYMOBILE)	0.60

იტალია მობილური VODAFONE	0.80
იტალია მობილური WIND	0.75
კამბოჯა	0.50
კამბოჯა მობილური	0.50
კამერუნი	1.20
კამერუნი მობილური	1.20
კვიპროსი	0.20
კვიპროსი მობილური	0.35
კვიპროსი Personal	0.40
კვიპროსი Universal Access	0.40
კოლუმბია	0.70
კოლუმბია მობილური	0.70
კუბა	2.50
ლატვია	0.60
ლატვია მობილური	1.30
ლატვია მობილური BALTICOM	1.10
ლატვია მობილური BITE	1.00
ლატვია მობილური IMX	1.55
ლატვია მობილური LMT	1.00
ლატვია მობილური NEVERTEL	1.00

ყირგიზეთი მობილური-BEELINE (SKYMOBILE) MSRN	0.60
ყირგიზეთი მობილური-NUR TELECOM	0.60
შვედეთი	0.06
შვედეთი მობილური	1.00
შვეიცარია	0.09
შვეიცარია მობილური	1.40
შვეიცარია მობილური-Bebbicell	0.90
შვეიცარია მობილური-Lycatel	0.40
შვეიცარია მობილური-Salt (Orange)	1.70
შვეიცარია მობილური-Swisscom	1.20
ჩეხეთი	0.10
ჩეხეთი მობილური	0.30
ჩინეთი	0.20
ჩინეთი მობილური	0.20
ჩრდილოეთ კორეა	1.50
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	1.10
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მობილური	1.70
ხორვატია	0.40
ხორვატია მობილური	1.20
ჰონგ-კონგი	0.10

საინფორმაციო მომსახურება	ზარის ღ-ბა
საქართველო 118 08	1.75
საქართველო 118 09	1.30
საქართველო 118 18	0.18

ალექსანდრე ქევხიშვილი

ზაალ აბაშიძე